# ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №19
## 2017 წლის 11 ივლისი

## ქ. ახმეტა

### ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა რანგირებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“, „დ.ე“ ქვეპუნქტებისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

**მუხლი 1**

დამტკიცდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა, საჯარო მოსამსახურეთა რანგირება და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები“ თანდართული სახით.

**მუხლი 2**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის №43 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 08/09/2014, სარეგისტრაციო კოდი: 270070000.35.162.016260).

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2017 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

**ახმეტის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** — **თამარ ყეინიშვილი**

**დანართი**

### ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

| № | საშტატო ერთეულის დასახელება | საშტატო რიცხოვნობა | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|---|
| 1 | აპარატის უფროსი – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | 1 | 1000 |
| 2 | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 560 |
| 3 | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საქმის წარმოების და საკადრო საკითხებში) | 1 | 560 |
| 4 | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საორგანიზაციო საკითხებში) | 1 | 560 |
| 5 | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის საკითხებში) | 1 | 560 |
| 6 | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში) | 1 | 560 |
| 7 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 500 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | (საქმის წარმოების საკითხებში) | | |
| სულ | – | 7 | |